გრასის
დეზინფორმაციის
ბრიფი

მონიტორინგის პერიოდი:

7-13 ნოემბერი

GRASS
REFORMANDA

- ევროპულმა კომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა;
- ანტიდასავლური დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული ტალღის სამიზნე ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი გახდა;
- პარიზის მშვიდობის ფორუმზე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ვიზიტის პარალელურად, „ქართული ოცნება“ პრეზიდენტზე თავდასხმებს განაგრძობს;
- რუსული დეზინფორმაცია ოკუპირებულ აფხაზეთში არარსებული ქართველი დივერსანტების სრულმასშტაბიან ძებნას აცხადებს;
- რუსული საოკუპაციო ძალების მიერ თამაზ გინტურის მკვლელობის შემდეგ პრორუსული პროპაგანდა ხაზს უსვამს რუსეთთან მოკავშირეების მნიშვნელობას.

ევროპულმა კომისიამ ევროპული საბჭოსთვის საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე რეკომენდაცია გასცა

8 ნოემბერს ურსულა ფონ დერ ლაიენმა, ევროპული კომისიის პრეზიდენტმა, და ოლივერ ვარჰეიმ, სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა, ევროკავშირის გაფართოების ანგარიში წარადგინეს, რომელშიც აღნიშნული იყო რეკომენდაცია, ევროკომისიას საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი მიენიჭებინა. ევროპული კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას დეკემბერში გააჟღერებს.

„ეს უზარმაზარი ნაბიჯია საქართველოსთვის, ასევე, ეს ხაზს უსვამს იმ შთამბეჭდავ და ძალიან ცალსახა პოზიციას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისა, რომ იქცნენ ევროკავშირის წევრებად“, - განაცხადა ურსულა ფონ დერ ლაიენმა. კომისია ხაზს უსვამს საქართველოს ხელისუფლების პოზიტიურ ნაბიჯებს, თუმცა აღნიშნავს, რომ წინა წელს გაცემული 12 პრიორიტეტის შესასრულებლად მეტი პროგრესია საჭირო. „ამოცანების სია ნათელია. თქვენი ერთგულება და მონდომება დაგვეხმარება დარჩენილი ნაბიჯების შესრულებაში“, - წერს ოლივერ ვარჰეი X-ზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, ილია დარჩიაშვილთან სატელეფონო ზარის შემდეგ. „ქართველმა ხალხმა ევროპული ღირებულებებისადმი ურყევი ერთგულება მრავალჯერ გვაჩვენა. ევროკავშირის კარი ღიაა. ჩვენ განვაგრძობთ, მხარი დავუჭიროთ საქართელოს მათ გზაზე ევროკავშირისკენ”, - წერს ჯოზეფ ბორელი X-ზე. საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ საქართველოს მიულოცა და აღნიშნა, რომ კომისიის მიერ გაცემული ნაბიჯების შესასრულებლად მოქმედებაა საჭირო. ამასთანავე, ევროკავშირის ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ დეზინფორმაციასთან ბრძოლა ევროკომისიის მიერ გაწერილი ცხრა ნაბიჯიდან პირველია. ელჩის თქმით,

მიუხედავად იმისა, რომ დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული ნარატივების უმეტესობა უცხოურია, არსებობს ბევრი უცნაური შეთქმულების თეორია, რომლებიც საქართველოს შიგნით მეორდება და ძლიერდება.

- პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადაწყვეტილებას საქართველოსა და ევროპული კომისიისთვის ისტორიული დღე უწოდა და ქართველ ხალხს მიულოცა. მან განაცხადა, რომ პერიოდი ევროკომისიის გადაწყვეტილებამდე რთული აღმოჩნდა, რადგან ამ წარმატების მისაღწევად მთავრობამ, პარლამენტმა და მმართველმა პარტიამ დიდი სამუშაო გაწიეს. პრემიერ-მინისტრმა აგრეთვე ხაზი გაუსვა ამერიკის შეერთებული შტატების კრიტიკულ როლს ევროკომისიის გადაწყვეტილებაში და მადლობა გადაუხადა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მრჩეველს, ჯეიკ სალივანს, გაწეული ძალისხმევისთვის. ამასთანავე, ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკომისიის გადაწყვეტილება „ხალხს ეკუთვნის, რომელსაც მთავრობა წარმოაჩენს“. სხვა განცხადებაში, მან ხაზი გაუსვა, რომ „რადიკალურ ოპოზიციას“ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე არაფერი გაუკეთებია, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ერთადერთი ძალაა, რომელმაც ხელშესახები პროგრესი აჩვენა. აგრეთვე, მან განმარტა, რომ კანდიდატის სტატუსი ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების შრომასა და მიღწეულ შედეგებს დაეფუძნა. აქედან გამომდინარე, სპეკულაციები, რომ კანდიდატის სტატუსი მხოლოდ ქართველი ხალხის ნების გამოხატულების შედეგი იყო, გადაჭარბებული და მცდარია.
- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ ბოლო 20 თვის განმავლობაში საქართველომ მრავალი სირთულე გამოიარა, მათ შორის სტატუსის მიღების საბოტაჟი და რევოლუციის მცდელობა. მისი თქმით, ევროპული კომისიის დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოში პოლიტიკური პროცესების დერადიკალიზაციას შეუწყობს ხელს. თავმჯდომარის განმარტებით, ევროკომისიის გადაწყვეტილება ქართველი ხალხის დამსახურებაა, რომელმაც უპრეცედენტო სიბრძნე გამოავლინა და ხელი შეუწყო მშვიდობისა და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. კობახიძემ მადლობა გადაუხადა ყველა პოლიტიკოსსა და საჯარო მოსამსახურეს, რომელმაც ევროკომისიის გადაწყვეტილების უზრუნველყოფაში წვლილი შეიტანა.
- „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნისა და თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, მმართველმა პარტიამ ევროინტეგრაციის გზაზე უდიდესი ძალისხმევა გაწია და მრავალი დაბრკოლება გადალახა. ოპოზიციის მხრიდან მუდმივი ხელის შეშლის, საბოტაჟის, პროცესებში მონაწილეობაზე უარის თქმისა და პოლარიზაციის გაღრმავების მცდელობის მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ არ გადაუხვია ქართველი ხალხის ნებას, გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, საერთო ღირებულებების დაცვითა და ქართული ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებით.

- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის შეფასებით, ევროკომისიის გადაწყვეტილება იყო „სიმართლის სიცრუეზე გამარჯვების დასტური, ძლიერი პასუხი საქართველოს ოკუპაციაზე“. პაპუაშვილმა განაცხადა, რომ კანდიდატის სტატუსი ქვეყნის ევროპული მომავლის მყარი საფუძველია, ის ეკუთვნის აფხაზ და ოს თანამოძმეებს, მრავალეროვანი ქვეყნის თითოეულ მოქალაქესა და ყველას ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ევროპული მომავალი. პარლამენტის თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ევროკომისიის წინა წლის ბუნდოვანმა გადაწყვეტილებამ ქართველი ხალხის არაკეთილისმსურველებს სპეკულაციების საშუალება მისცა.
- „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ მადლობა გადაუხადა ევროკომისიას „სამართლიანი და ობიექტური რეკომენდაციის გაცემისთვის“, საჯარო მოსამსახურეებსა და ქართველ ხალხს გაწეული ძალისხმევისთვის. მდინარაძის თქმით, მიუხედავად უამრავი ნეგატიური და დამაზიანებელი კამპანიისა და პირდაპირი საბოტაჟისა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, ევროკომისიის სამართლიანი რეკომენდაციის მიღება „ქართულმა ოცნებამ“ მაინც შეძლო.

ანტიდასავლური დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული ტალღის სამიზნე ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი გახდა

- „ალტ-ინფოსა“ და „ანტიმაიდნის“ მოძრაობის ლიდერებმა საქართველოსთვის ევროპული კომისიის ცხრა დათქმა განიხილეს და თავიანთი ინტერპრეტაციები გაავრცელეს: პირველი, დეზინფორმაციასთან ბრძოლის პრიორიტეტი „ალტ-ინფოს“ გაჩუმებისა და დახურვის პირდაპირი მოწოდებაა; მეორე პრიორიტეტი, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს თანხვედრა, ნიშნავს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გამწვავდება; დეპოლარიზაციის პრიორიტეტი საქართველოს ავალდებულებს, ლიბერალური ღირებულებების მქონე ოპოზიციური პარტიები გააძლიეროს პარლამენტში; გასაკვირად, პროპაგანდისტებმა დადებითად შეაფასეს დათქმა არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც, მათი შეფასებით, საარჩევნო თაღლითობის რისკებს შეამცირებს; საპარლამენტო ზედამხევდელობის გაუმჯობესების პრიორიტეტი ნიშნავს, რომ ევროკავშირს პარლამენტში „აგენტების“, ანუ ოპოზიციონერი დეპუტატების, შეყვანა სურს, რომლებიც გააკონტროლებენ ისეთ ინსტიტუტებს, როგორებიცაა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ეროვნული ბანკი და კომუნიკაციების კომისია; ყოვლისმომცველი სასამართლო რეფორმის განხორციელება მიუთითებს ევროკავშირის სურვილზე, საქართველოს

სასამართლოში „აგენტები“ შეიყვანოს და გააკონტროლოს; ევროკავშირი მოითხოვს, ანტიკორუფციულ ბიუროსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში პროდასავლელები და მათი „აგენტები“ მუშაობდნენ; დეოლიგარქიზაცია პირდაპირი მიმართვაა საქართველოს ხელისუფლებისთვის, „თავიდან მოიშორონ ბიძინა ივანიშვილი“; ხოლო უკანასკნელ დათქმას, რომელიც ადამიანის უფლებებისა და მოწყვლადი ჯგუფების დაცვას, ასევე მოძალადეების ფაქტების გამოძიებას ითვალისწინებს, „ალტ-ინფო“ აფასებს, როგორც მოთხოვნას, „ნორმალიზდეს ლგბტ პრაიდების ჩატარება საქართველოში და დააპატიმრონ ყველა, ვინც მათ შეეწინააღმდეგება“.

- პრორუსული „ტელეკომპანია სეზონის“ წამყვანი ნიკოლოზ მჟავანაძე ირწმუნებოდა, რომ ევროკომიისიის დათქმების შესრულებით საქართველო იდენტობას დაკარგავს. აქედან გამომდინარე, ევროკომისიის გადაწყვეტილება, დადებითი რეკომენდაცია გაეცა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, საზეიმო არაა. კანდიდატის სტატუსი ქართველების ყოველდღიურ ცხოვრებას არ გააუმჯობესებს, რადგან ევროკავშირი საქართველოში მნიშვნელოვანს არაფერს აფინანსებს, გარდა არასამთავრო ორგანიზაციებისა, რომელთა დაფინანსებაც საგრძნობლად გაიზრდება. მჟავანაძემ აგრეთვე განაცხადა, რომ ევროკავშირი ქართული ეკლესიისა და მართლმადიდებლური რწმენის დამცველთა, ანუ 2021 წლის 5 ივლისის მოძალადეების, დაკავებას მოითხოვს. ევროკავშირის იმ დათქმას, რომელიც „ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან და უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან ბრძოლას“ გულისხმობს, პროპაგანდისტი აფასებს, როგორც „სოდომიზმთან“ ღიად მებრძოლი კონსერვატორების გაჩუმებას. მჟავანაძის თქმით, სასამართლო რეფორმის დათქმით ევროკავშირი საქართველოს მთავრობას ავალდებულებს, სასამართლო სისტემის სადავეები სრულად ევროკავშირს გადასცეს.
- იგივე პროპაგანდისტი დიტო ჩუბინიძესთან, ხშირ სტუმართან და მორიგ პროპაგანდისტთან, ერთად ირწმუნებოდა, რომ ევროკომისია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციას თუ არ გასცემდა, ქვეყანაში ვითარებას დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი დაჯგუფებები გაამწვავებდნენ. თუმცა ქვეყნის დესტაბილიზაციის გეგმები „ანტიმაიდნის“ მოძრაობის გამო გადაიდო, რომელმაც ევროპელებს აჩვენა, თუ როგორ არ მისცემდნენ ქაოსისა და ქვეყნის განადგურების საშუალებას, შესაბამისად, ევროკომისიამაც საბოლოოდ დადებითი რეკომენდაციის გაცემა გადაწყვიტა.
- პრორუსული „ალტ-ინფოსა“ და „ანტიმაიდნის“ მოძრაობის ლიდერები, გიორგი ქარდავა და შოთა მარტინენკო ამბობდნენ, რომ ევროკავშირმა საქართველოს 2022 წელს იმიტომ არ მიანიჭა კანდიდატის სტატუსი, რომ დასავლეთის აგენტებისთვის რევოლუციის მომზადების საშუალება მიეცა; ხოლო იმის შემდეგ, რაც ქვეყანა 2023 წელსაც კვლავ ვერ მიიღებდა კანდიდატის სტატუსს,

მაიდნის მსგავსი რევოლუცია განმეორდებოდა. პროპაგანდისტების თქმით, მიუხედავად ამ გრანდიოზული გეგმებისა, დასავლეთმა „ანტიმაიდნის“ მოძრაობის მხარდაჭერა შეამჩნია, რომელიც დასავლეთის მიერ დასპონსორებულ რევოლუციის მცდელობას შეაჩერებდა; ევროკომისიის დადებითი გადაწყვეტილებაც სწორედ აღნიშნულის შედეგი იყო.

- ევროკავშირის პრიორიტეტების შესრულება, კანდიდატის სტატუსის მიღება და ევროკავშირის წევრობაც კი არ ღირს, დიტო ჩუბინიძის შეფასებით, რადგან ჩამოთვლილი ნაბიჯები საქართველოში ლგბტ ღირსების მარშის ჩატარებასა და, შესაბამისად, ეროვნული სიწმინდეებისა და ტრადიციების განადგურებას მოასწავებს. აგრეთვე, პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ „სოდომიის“ გამო ევროკავშირი მანამ განადგურდება, სანამ საქართველო გაწევრიანდება.
- პროპაგანდისტმა პრორუსულ „ალტ-ინფოზე“ ევროკომისიის გადაწყვეტილებას ევროკავშირის იმპერიალისტური გაფართოება უწოდა. მისი თქმით, დასავლეთი გლობალისტური გეგმებით ხელმძღვანელობს და მსოფლიოზე გაბატონებას ცდილობს; მათ შორის, ქართველ ხალხზე იდეოლოგიურად ძალადობს და ცდილობს, მათ ანტიქართული, ანტიეროვნული აზრები შთააგონოს, რათა მათი მართვა გაუმარტივდეს. თუმცა მათი დიდი მცდელობების მიუხედავად, ქართველმა ხალხმა და „ანტიმაიდნის“ მოძრაობამ დაანახვათ, რომ ზემოთ აღნიშნული გეგმა წარმატებული ვერ იქნება. იგივე პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ ევროკავშირი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უჭერს მხარს, რადგან ეს უკანასკნელი გამოცდილია დასავლეთთან თანამშრომლობაში, ხელისუფლების გადაგდებასა და რუსეთთან ომის დაწყებაში (ეხმიანებოდა „ვარდების რევოლუციასა“ და 2008 წლის აგვისტოს ომს). საბოლოო ჯამში, მისი შეფასებით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი გამანადგურებელი იქნება საქართველოსთვის, რადგან ევროკავშირი საქართველოს ხელისუფლებას აიძულებს, ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო კანონები მიიღოს.
- პრორუსული „ალტ-ინფოს“ სტუმარი ამტკიცებდა, რომ ევროკავშირი საქართველოს ვასალურ სახელმწიფოდ ქცევას ისახავს მიზნად და საქართველოს ხელისუფლებას აიძულებს, უფრო მორჩილი გახდეს. მან უკრაინის მაგალითი მოიყვანა იმის დასადასტურებლად, თუ როგორ ანადგურებს ევროინტეგრაცია ქვეყანას, რომელსაც დიდი ადამიანური და ბუნებრივი რესურსები აქვს. მსგავსი მოვლენები საქართველოშიც განმეორდება, თუ ქვეყანა პროდასავლური საგარეო პოლიტიკის გატარებას განაგრძობს.
- გიორგი კიკნაძე, „ალტ-ინფოს“/“კონსერვატიული მოძრაობის“ წევრი, ამბობდა, რომ ევროკავშირი საქართველოს კანდიდატის სტატუსს მხოლოდ 2024 წლის





არჩევნების შემდეგ მიანიჭებს. პროპაგანდისტის თქმით, ევროკავშირი სწორედ არჩევნებზე ფოკუსირდება, რადგან სურს, ამჟამინდელი ხელისუფლება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობით“ ჩაანაცვლოს.

- „ალტ-ინფოს“ წამყვანი მცდარი ინფორმაციით კონსპირირებდა, რომლის თანახმადაც, ევროკავშირი მოითხოვს, საქართველომ 9 პრიორიტეტი 15 დეკემბრამდე შეასრულოს. მისი თქმით, ერთ თვეში ევროკავშირი გამოაცხადებს, რომ საქართველომ ახალი პრიორიტეტების შესრულებაში პროგრესი ვერ გამოავლინა, რის გამოც ვერ მიანიჭებდა კანდიდატის სტატუსს, რის შედეგადაც, ქვეყანაში ვითარება გამწვავდებოდა და „მაიდნის რევოლუცია“ დაიწყებოდა. აქედან გამომდინარე, პროპაგანდისტი შიშის დათესვას განაგრძობდა და ქართველ ხალხს სიფხიზლისკენ მოუწოდებდა, რადგან ევროკომისიის რეკომენდაცია არ განაპირობებდა დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი რევოლუციის ნეიტრალიზაციას.
- ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაცემული პრიორიტეტები „ალტ-ინფოს“ მორიგმა წამყვანმაც შეაფასა. მისი თქმით, დეპოლარიზაციისკენ მოწოდებით ევროკავშირი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ ძალაუფლების მიცემასა და კონსერვატიული პარტიების ჩახშობას მოითხოვს; ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს თანხვედრის პრიორიტეტი ნიშნავს, რომ საქართველომ ომი უნდა წამოიწყოს რუსეთთან. კიდევ ერთი პრიორიტეტი კი საქართველოს აიძულებს, სკოლებში ლგბტ პროპაგანდა გაავრცელოს.
- „ალტ-ინფოზე“ მორიგმა პროპაგანდისტმა ევროკავშირის პრიორიტეტებსა და საქართველოს კანდიდატის სტატუსის მთელ პროცესს ცირკი უწოდა, რადგან, საბოლოო ჯამში, გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებები მაინც ვაშინგტონში მიიღება.
- პროპაგანდა, აგრეთვე, ირწმუნებოდა, რომ ევროკავშირის პრიორიტეტი დეზინფორმაციასთან ბრძოლის შესახებ, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ბრძოლას, შეძლონ იდენტობის, ტრადიციების, რწმენისა და მორალის შენარჩუნება. ასევე, ევროკავშირის წევრობა ნიშნავს, რომ საქართველო სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას დაკარგავს.
- 8 ნოემბერს განსაკუთრებით აქტიურად იწერებოდნენ ანტიდასავლურად და პრორუსულად განწყობილი სოციალური მედიის ანგარიშები, რომლებიც ევროკავშირის დისკრედიტაციასა და საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების დისკრედიტაციას ცდილობდნენ. მათი პოსტები „ალტ-ინფოს“ პროპაგანდისტების სენტიმენტებს ეხმიანებოდა - ევროკავშირის დისკრედიტაციისთვის არგუმენტებად მოჰყავდა ლგბტქი+ უფლებების დაცვა; კანდიდატის სტატუსის შედეგად საფრთხის ქვეშ დაყენებული ქართული იდენტობა და რწმენა; სუვერენიტეტდაკარგული და დამონებული საქართველო; 2021 წლის 5 ივლისს ჰომოფობიური გამოსვლების მონაწილე ათასობით

ადამიანის დაკავება ხელისუფლების მიერ; „ანტიმაიდნის“ მოძრაობის შეჩერება, რომელმაც ევროკავშირს რევოლუციის წამოწყებაში ხელი შეუშალა, რის გამოც ევროკომისიამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საქართველოს კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით.

პარიზის მშვიდობის ფორუმზე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ვიზიტის პარალელურად, „ქართული ოცნება“ პრეზიდენტზე თავდასხმებს განაგრძობს

9 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთში ვიზიტი გამართეს, რათა ინდივიდუალურად გასაუბრებოდნენ საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს და ესაუბრათ პარიზის მშვიდობის ფორუმზე. „ბრავო ქართველ ხალხს, რომლის ერთგულება დემოკრატიისა და ევროპის მიმართ აღარ საჭიროებს დამტკიცებას. გააერთიანეთ ძალისხმევა წინსვლისთვის. საფრანგეთი დგას თქვენს გვერდით“, - წერს მაკრონი Facebook-ზე საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

8 ნოემბერს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ათონელის რეზიდენციის წინ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსანიშნად შეკრება გამართა, სადაც განაცხადა, რომ პარიზის მშვიდობის ფორუმს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად დაესწრებოდა. მიუხედავად პრეზიდენტის მიერ გამოთქმული იმედისა, რომ აღნიშნული ვიზიტი დეპოლარიზაციის მაგალითი გახდებოდა, ის „ქართული ოცნების“ სხვადასხვა წევრის თავდასხმის სამიზნე მაინც გახდა გარკვეული განცხადებების გამო.

- ერთ-ერთი განცხადება, რომელიც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა გააკრიტიკეს, სალომე ზურაბიშვილმა ფრანგულ არხზე ინტერვიუს დროს გააკეთა. „ეს იქნებოდა ისტორიული შედეგი, რაც გარკვეულ საკითხებს თავის ადგილს მიუჩენდა“, - განაცხადა მან, რითაც უპასუხა კითხვას, იმედოვნებს, თუ არა, რომ პუტინი და სინ ძინპინი ოდესმე გასამართლდებიან საერთაშორისო სასამართლოში. 13 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჩინეთის ელჩთან, ჭოუ ციენთან, გამართულ შეხვედრაზე დაგმო პრეზიდენტის რეპლიკა ჩინეთის ლიდერ სინ ძინპინის შესახებ. პრემიერ-მინისტრის თქმით, ეს არ იყო პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაზიანების პირველი შემთხვევა. მან ზურაბიშვილის განცხადების გამო სინანული გამოხატა და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული არ დააზიანებდა საქართველოსა და ჩინეთის განსაკუთრებით დადებით კავშირებს.

- პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმაც, გიორგი ამილახვარმაც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ განცხადება მიუღებელი იყო. საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა, ხოლო საგარეო პოლიტიკას საქართველოს ხელისუფლება განაგებს და პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ დაფიქსირებული განცხადება პოლიტიკურად მნიშვნელოვანი არაა. მიუხედავად ამისა, განცხადება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ დათქმულ პოლიტიკას მაინც ეწინააღმდეგებოდა და ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ძირს უთხრიდა. ამილახვარის თქმით, პრეზიდენტისგან, რომელმაც კონსტიტუცია დაარღვია, მოსალოდნელი იყო არაეთიკური, არადიპლომატიური და გადამეტებული განცხადებები.
- „ქართული ოცნების" დეპუტატმა, ირაკლი ჩიქოვანმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა და პრეზიდენტი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას არ წარმოადგენს. საქართველო მაღალ დონეზე აფასებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სტრატეგიულ პარტნიორობას, რომლის საშუალებითაც, საქართველო შეიძლება მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მისი თქმით, ზოგადად, პრეზიდენტ ზურაბიშვილის განცხადებები ქართველი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება და სწორედ ამიტომ დაადასტურა საკონსტიტუციო სასამართლომაც, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია. ამ უკანასკნელის შემდეგ, პრეზიდენტმა ლეგიტიმურობა და რელევანტურობა დაკარგა.
- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერა ერთადერთი მიზეზია, თუ რატომ ინარჩუნებს სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის თანამდებობას. 18 ოქტომბერს, საპარლამენტო უმრავლესობამ, ქართველი ხალხის სახელით, დაადგინა, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია უარყო. საგარეო ვიზიტების გამართვა ხაზს უსვამს, რომ პრეზიდენტს არ აქვს ემოციური ბმა საქართველოს კონსტიტუციასთან და ქართველ ხალთან, პატივს არ სცემს სახელმწიფოებრივ საფუძვლებს.
- „France 24"-თან მორიგი ინტერვიუს დროს, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ თუ საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდებოდა, შედეგად კოალიციური ხელისუფლება ჩამოყალიბდებოდა, რაც ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დასაწყებად ყველა საჭირო პრიორიტეტს დააკმაყოფილებდა. „ქართული ოცნების" დეპუტატმა, ალუდა ღუდუშაურმა ზურაბიშვილს თვითმარქვია უწოდა, რომელმაც იმპიჩმენტს მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მანდატებით დააღწია თავი. ღუდუშაურის შეფასებით, ზურაბიშვილმა არ უნდა ისაუბროს, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი ხალხის გადაწყვეტილება არჩევნებზე; აღნიშნული ბრძენი

ქართველი ხალხის არჩევანი იქნება. პრეზიდენტი, რომელმაც კონსტიტუცია დაარღვია, არ უნდა წყვეტდეს ქართველი ხალხის არჩევანს.

რუსული დეზინფორმაცია ოკუპირებულ აფხაზეთში არარსებული ქართველი დივერსანტების სრულმასშტაბიან ძებნას აცხადებს

8 ნოემბერს, საქართველოს კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ ევროსაბჭოსთვის გაცემული რეკომენდაციის დღეს, აფხაზური სოციალური მედია პანიკს ჰქონდა მოცული მას შემდეგ, რაც კრემლის პროპაგანდისტმა ვლადიმერ სოლოვიოვმა ტელეგრამ არხზე დეზინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმადაც, 50 შეიარაღებული წევრისგან შემდგარი ქართული დივერსანტული დაჯგუფება აფხაზეთში შეიპარა სოხუმის უმოქმედო აეროპორტის ასაფეთქებლად. პროპაგანდისტი წყაროდ ე.წ. „აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს“ ასახელებდა. მიუხედავად იმისა, რომ სოლოვიოვმა პოსტი მალევე წაშალა, აფხაზეთის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი უკვე აქტიურად ამწვავებდა დაბნეულობას განცხადებით, რომ სოფელ აზანთასთან ახლოს, მთებში მონადირეებმა შეამჩნიეს შვიდი შეიარაღებული პირი, „უცხოური იარაღით, სავარაუდოდ M4 ავტომატური შაშხანებით, შავ უნიფორმებში გამოწყობილი, ნიღბებით, ჩაფხუტებით, კარგად აღჭურვილი; მათი შვეულმფრენი მიმდებარე ტერიტორიას ფარავდა“.

აფხაზი სოციალური მედიის მომხმარებლები დაბნეულობას გამოხატავდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გახდა უმოქმედო აეროპორტი დივერსანტული დაჯგუფების სამიზნე, როგორ გადალახეს ე.წ. „საზღვარი“ აფხაზი და რუსი სასაზღვრო პოლიციების მეთვალყურეობის ფონზე და რატომ აღმოაჩინეს ისინი მონადირეებმა უშიშროების უზრუნველყოფის ძალების ნაცვლად.

დაბნეულობამ და შიშმა იმ დონეს მიაღწია, რომ დაჯგუფებაზე სრულმასშტაბიანი საჰაერო და სახმელეთო ძებნა გამოცხადდა, სამძებრო ტერიტორიებს კი ე.წ. „აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები“ ესტუმრნენ. საბოლოოდ, დივერსანტული დაჯგუფების არსებობა არ დადასტურდა და გაურკვეველია, რატომ გავრცელდა მსგავსი დეზინფორმაცია.

რუსული საოკუპაციო ძალების მიერ თამაზ გინტურის მკვლელობის შემდეგ პრორუსული პროპაგანდა ხაზს უსვამს რუსეთთან მოკავშირების მნიშვნელობას

- პრორუსულად განწყობილმა პროპაგანდისტი და ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანი ნიკოლოზ მჟავანაძე ირწმუნებოდა, რომ დასავლეთს საქართველოს კეთილდღეობა არ ადარდებს, შესაბამისად არც საოკუპაციო ხაზთან მოკლული საქართველოს მოქალაქეებით ინტერესდება. პროპაგანდისტის თქმით, თამაზ

გინტურის ტრაგიკული მკვლელობა არა საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის აშკარა გამოხატულება, არამედ პრობლემაა, რომლის თავიდან არიდებაც რუსეთთან მოლაპარაკებებითა და მეგობრული, მეზობლური ურთიერთობის დამყარებით იქნებოდა შესაძლებელი.

- პრორუსულად განწყობილმა პროპაგანდისტმა და ტელეკომპანია „სეზონის“ ხშირმა სტუმარმა დიტო ჩუბინიძემ აღნიშნულ საკითხზე საუბრისას ეჭვი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ მიიტანა და მკვლელობა სწორედ ამავე პარტიის პროვოკაციას მიაწერა, რადგან თამაზ გინტური გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ძმა იყო. პროპაგანდისტმა გაიხსენა ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის შემთხვევაც, რომელიც საოკუპაციო ძალებმა 2019 წელს თითქმის 90 დღით დააკავეს. პროპაგანდისტმა ივარაუდა, რომ მისი დაკავებაც არა დამთხვევა, არამედ მორიგი პროვოკაცია იყო. დიტო ჩუბინიძე, ნიკოლოს მჟავანაძის მსგავსად, რუსეთის აგრესიას საქართველოს მიმართ უგულებელყოფს, ხოლო ბრალი საქართველოს მოქალაქეებზე გადააქვს.
- ტრისტან წითელაშვილი, ყოფილი მაღალი რანგის ოფიცერი, რომელიც 2008 წლის ომში რუსეთისთვის ჯაშუშობისთვის იყო მსჯავრდებული, ხოლო შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური პატიმრის წოდებით გაათავისუფლა, აგრეთვე ესტუმრა ტელეკომპანია „სეზონს“ და განაცხადა, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თამაზ გინტურის მკვლელობის თავის სასარგებლოდ გამოყენება სცადა, რათა ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუცია წამოეწყო. „ენმ-ს“ მხარს უჭერდნენ უკრაინაში მებრძოლი ქართველებიც, რომლებიც, პროპაგანდისტის თქმით, ქართველ ხალხს რევოლუციისკენ მოუწოდებდნენ.
- პრორუსულად განწყობილმა სამღვდელო პირებმა, რომლებიც 2021 წლის 5 ივლისს ლგბტ აქტივისტებსა და ჟურნალისტებს ძალადობით უპირისპირდებოდნენ, თქვეს, რომ საოკუპაციო ხაზთან ქართველების მკვლელობის შემთხვევები მომავალშიც გაგრძელდებოდა, თუ საქართველო რუსეთთან დიალოგს არ დაამყარებს.
- „ალტ-ინფოსა“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, შოთა მარტინენკო, აგრეთვე ამტკიცებდა, რომ მორიგი კონფლიქტის წამოწყება სეპარატისტების ინტერესებში შედიოდა; აქედან გამომდინარე, ქართულმა მხარემ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და მოლაპარაკებები დაიწყოს რუსეთთან - ერთადერთ მხარესთან, რომელსაც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება შეუძლია.
- მორიგი პროპაგანდისტის თქმით, „ალტ-ინფო“ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ საქართველოში „მაიდნის“ მსგავსი რევოლუცია იგეგმებოდა, რასაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიც ადასტურებდა. სუს-მა მართლაც განაცხადა, რომ დივერსანტული დაჯგუფება

რევოლუციისთვის პროვოკაციას გეგმავდა, მათ შორის მოქალაქეების მკვლელობასაც. პროპაგანდისტი „ალტ-ინფოზე“ თამაზ გინტურის შემთხვევას სწორედ ზემოაღნიშნულ გეგმებს აწერდა, თითქოს მისი მკვლელობა „ენმ-ს“ პროვოკაციის შედეგი იყო და რევოლუციის დაწყებას ისახავდა მიზნად.

- სოციალური მედიის ანგარიშმა გაავრცელა დეზინფორმაცია, რომლის თანახმადაც ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს ოფიციალურ დოკუმენტს მოაწერა ხელი, რომ ეკლესია, რომელშიც თამაზ გინტური შევიდა, რის შემდეგაც ის საოკუპაციო ძალებმა მოკლეს, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას არ ეკუთვნოდა. რეალურად, ეკლესია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას ეკუთვნოდა, სანამ ის 2018 წელს რუსულმა ძალებმა უკანონოდ მიიტაცეს.
- მსგავსი ნარატივები, რომელთა მიხედვითაც თამაზ გინტურის მკვლელობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროვოკაციების შედეგი იყო, ხოლო მსგავსი ტრაგედიების თავიდან აცილება მხოლოდ რუსეთთან მოლაპარაკებებითა და ურთიერთობის აღდგენით იყო შესაძლებელი, არაერთმა სოციალური მედიის ანგარიშმა გაავრცელა. ზოგიერთმა ანგარიშმა ისიც კი დაწერა, თუ როგორ „იმოქმედეს კანონის სრული დაცვით" რუსულმა საოკუპაციო ძალებმა.